მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო გამოცემა, 2022 წელი, №2

300 წლის შემდეგ საქართველო წმინდა მიწას უბრუნდება

წელს, ნათლისღების დღესასწაულზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში ბრძანა, რომ ,,მისი უდიდებულესობა იორდანიის მეფე აბდულა II-ისა და მისი უმაღლესობა პრინც ღაზის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, საქართველოს გადაეცა მიწა მდინარე იორდანესთან, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ“.

მისივე თქმით, ,,ყველა ქართველისთვის სასიხარულო მოვლენა შესაძლებელი გახდა საერო და სასულიერო ხელისუფალთა ერთიანი ძალისხმევის შედეგად. ფასდაუდებელი იყო ჩვენი ძვირფასი პატრიარქის, მისი უწმინდესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ჩართულობა, მისი დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი“.

ამა წლის 28-29 მაისს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით საერო და სასულიერო პირთა დელეგაცია იმყოფებოდა იორდანიის სამეფოში და მათ მთავრობის, მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქართველი ხალხის სახელით მადლობა გადაუხადეს იორდანიის მეფე აბდულა II-ს, პრინც ღაზის, იერუსალიმის პატრიარქ თეოფილე III-ს, იორდანიის მთავარეპისკოპოს ქრიზოსტომოსსა და ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩართული იყო ისტორიული გადაწყვეტილების მიღებაში.

მადლიერების ნიშნად პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა იორდანიის მეფე აბდულა II-ს ოქროს საწმისის ორდენი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მისასალმებელი სიტყვა გადასცა. საქართველოს საკუთრებაში არსებული 4000 კვადრატული მეტრი მიწა მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ, მდინარე იორდანესთან 15-20 მეტრის მანძილზეა. სწორედ ამ ადგილზე პრემიერმა საზეიმოდ გახსნა მემორიალური ქვა, რომელზეც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისა და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმოწერებია. დელეგაცია მდინარე იორდანეს სანაპიროზეც იმყოფებოდა და პრინც ღაზისთან ერთად მოინახულა ადგილები, სადაც იოანე ნათლისმცემელი ცხოვრობდა და სადაც მაცხოვარი მოინათლა.

თავის მისასალმებელ სიტყვაში მთავრობის მეთაურმა განსაკუთრებულად აღნიშნა პრინც ღაზის, ასევე იერუსალიმის პატრიარქისა და იორდანიის მთავარეპისკოპოსის როლი საქართველოსთვის მიწის გადაცემის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მისი თქმით, უდიდესი ისტორიული მოვლენაა, რომ საერო და სასულიერო ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, 300 წლის შემდეგ საქართველო წმინდა მიწას უბრუნდება:

„დღეს ისტორიული დღეა. დღეს ჩვენ ოფიციალურად გადმოგვეცა მიწა, სადაც აშენდება ქართული კულტურის ცენტრი. ეს არის ყველა ქართველისთვის ალბათ საოცნებო დღე, ვინაიდან ქართველები, 300 წლის შემდეგ ვბრუნდებით წმინდა მიწაზე... ამ საქმეში ფასდაუდებელი წვლილი აქვს მეფე აბდალა II-ს, პრინც ღაზის, ასევე იერუსალიმის პატრიარქს, ჩვენს პატრიარქს, ჩვენს მთავრობას. ჩვენ ყველამ ერთად ვიმუშავეთ იმისთვის, რომ ეს ისტორიული ფაქტი დამდგარიყო დღეს და ჩვენ ყველანი ვართ ამის მომსწრენი. კიდევ ერთხელ ვულოცავ ყველა ქართველს, ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს ამ მნიშვნელოვან მოვლენას“, - ბრძანა პრემიერმა.

თავის მხრივ, მდინარე იორდანესთან, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ, საქართველოსთვის მიწის ნაკვეთის გადაცემის შესახებ ჟურნალისტებთან ისაუბრა საქართველოს დელეგაციის წევრმა, საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ:

„პირველ რიგში, ვულოცავ ყველას, მთელ საქართველოს. ემოციურად ეს ძალიან სასიხარულო დღეა, ფაქტია სასიხარულო. ისტორიულად ეს არის გაგრძელება ჩვენი წმინდა მიწაზე მოღვაწეობისა“.

დეკანოზ ანდრიას თქმით, ეს იქნება ერთ-ერთი რგოლი ამ ჯაჭვში, რომელიც საქართველოს აკავშირებს წმინდა მიწასთან.

„ყველაზე მნიშვნელოვანი არის თავად ფაქტი, რაც მოხდა და რაშიც ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ბევრ ადამიანს, ვინც საქართველოსადმი კეთილგანწყობილია, იორდანიის მეფეს, პრინც ღაზის, იერუსალიმის პატრიარქ თეოფილე III-სა და, რა თქმა უნდა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს, ზოგადად, ჩვენს ეკლესიას.

ამას ექნება ძალიან კეთილი გაგრძელება. სახლი, რომელიც აშენდება, იქნება წარმომადგენლობითი. ის წარმოადგენს საუკუნეების განმავლობაში საქართველოს, ქართველი სასულიერო პირების აქ მოღვაწეობას, იმ სასულიერო კერებს, რომლებიც წმინდა მიწაზე არსებობდა. ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება თავისთავად ამ სახლის არსებობას და მის შემდგომ ფუნქციონირებას. შესანიშნავი ადგილია... ვფიქრობ, ეს ყველასთვის ძალიან სასიხარულოა და აქ მოსვლა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

რა თქმა უნდა, დიდია პრემიერის როლი ამ საქმეში. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი მარტივი თემა არ არის მიწის გადმოცემა წმინდა მიწაზე საქართველოსთვის. ბოლო პერიოდში თუ გადავავლებთ თვალი ჩვენს ისტორიას, ტერიტორიებს უფრო ვკარგავდით, ვიდრე ვიმატებდით. დაე, იყოს ეს საწინდარი იმისა, რომ საქართველომ თავისი ტერიტორიები დაიბრუნოს და, ზოგადად, შევიძინოთ ის, რაც, საბოლოო ჯამში, სულიერ შედეგს მოგვიტანს“, - დასძინა დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ.

მდინარე იორდანესთან, მაცხოვრის ნათლობის მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისა ლოცვა-კურთხევით, ხელისუფლების მიერ 4000კვ.მ.-ზე მოეწყობა ქართველთა კულტურული ცენტრი. იგი იქნება ქართველებისთვის ჩვენს დროში პირველი ოფიციალურად გადმოცემული ადგილი წმინდა მიწაზე. აქ გამოიფინება არქივებსა და ისტორიულ წყაროებში დაცული და წმინდა მიწასთან დაკავშირებული მასალების ასლები და შეიქმნება სათანადო გარემო როგორც ჩვენი მომლოცველებისთვის, ისე ისრაელსა და იორდანიაში მყოფი ქართველებისთვის.

ინფორმაციის წყარო
საქართველოს მთავრობა

მწვერვალი „იაპონია“

მოგახსენებთ, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2022 წლის 30 მაისს, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიამ შემოიტანა ინიციატივა გეოგრაფიული ობიქტისთვის: მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ლეხზირის ხეობაში მდებარე „სამხრეთ სვეტღარი„-ს მწვერვალს (გეოგრაფიული კოორდინატები: X: 321923; Y: 4777078; სიმაღლე ზღვის დონიდან 3886 მეტრი) მიენიჭოს სახელი „იაპონია“.

აღნიშნული საკითხი გახლავთ მესტიის მუნიციპალიტეტის მერის, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის და საქართველოში იაპონიის საელჩოს ერთობლივი ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოსა და იაპონიას შორის არსებული მეგობრობის გაძლიერებას.

საქართველოსა და იაპონიის დიპლომატიურ ურთიერთობას 2022 წელს უსრულდება 30 წელი. ამ წლების მანძილზე ორმა ქვეყანამ განავითარა ურთიერთობები პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის სფეროებში.

შეგახსენებთ, რომ იაპონიას მესტიის განვითარებაშიც აქვს წვლილი შეტანილი. კერძოდ, იაპონიის საელჩოს საქართველოში დაფინანსებით შესაძლებელი გახდა მესტიაში შექმნილიყო სარეაბილიტაციო ცენტრი სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებისთვის, რომელიც 2019 წლიდან ფუნქციონირებს.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიაში აღნიშნულ საკითხზე მუშაობა უკვე დაწყებულია. ჩატარდება მოსახლეობასთან შეხვედრა და საკითხის საჯარო განხილვა. შეხვერდის თარიღი მოსახლეობას სოციალური ქსელის საშუალებით წინასწარ ეცნობება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარმოდგენა მოქალაქეებს ერთი თვის განმავლობაში შეუძლიათ, როგორც ელექტრონული: mestiasakrebulo@gmail.com-ზე, ასევე წერილობითი ფორმით მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში - მის: დ.მესტია, სეტის მოედანი N1, 1-ლი სართული.

ეცერის საჯარო სკოლას აფხაზეთის ომის გმირის, ზურაბ გურჩიანის სახელი მიენიჭა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ბატონ მიხეილ ჩხენკელის გადაწყვეტილებით, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეცერის საჯარო სკოლას, 2021 წლის 1 აპრილს, აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპულის, ზურაბ გურჩიანის სახელი მიენიჭა. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული იყო როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, – მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო და სკოლის სამეურვეო საბჭო. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლის სახელდებისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი მაიზერ ჯაფარიძე, საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შორენა ცინდელიანი, საინიციატივო ჯგუფის წევრები – ფილოლოგიის დოქტორი ია ღადუა, მწერალი ირაკლი შამათავა, ადგილობრივი მკვიდრი და ზურაბ გურჩიანის ბავშვობის მეგობარი რამაზ გერლიანი, ასევე პოეტი ნანა ქელეხიძე, კოლეჯ „თეთნულდის“ დირექტორი ირმა ჯაფარიძე, ეცერის ანსამბლი „რიჰო“, გმირის ოჯახის წევრები და სოფლის უხუცესი თუ ახალგაზრდა თაობა. ღონისძიება სკოლის დირექტორმა, ქეთევან გურჩიანმა გახსნა, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და ყურადღება გაამახვილა 23 მაისზე. სკოლის დირექტორის განცხადებით, სწორედ ოჯახთან შეთანხმებით, სპეციალურად ეს დღე შეირჩა, რადგან საიუბილეო თარიღია... ზურა წელს 50 წლის გახდებოდა! „პირველი წელი იქნება, როდესაც სკოლის მოსწავლეთა ატესტატზე დაეწერება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირის, ზურაბ გურჩიანის სახელი“, – განაცხადა ქეთევან გურჩიანმა, ხოლო სახელდების ინიციატორის, ია ღადუას განმარტებით, ბედნიერია ის თაობა, რომლის ბიოგრაფიაშიც ჩაიწერება: „დაამთავრა სსიპ ზურაბ გურჩიანის სახელობის მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეცერის საჯარო სკოლა“. ეს იქნება, ერთი მხრივ, გმირისადმი გამოხატული მადლიერება და მეორე მხრივ, შეხსენება, თუ როგორი განსაკუთრებული როლი აქვთ სკოლის კურსდამთავრებულებს ქვეყნის აღმშენებლობის საკითხებში.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონმა მაიზერ ჯაფარიძემ ისაუბრა სახელდების მნიშვნელობაზე და მადლობა გადაუხადა ზურაბ გურჩიანის დედას, ქალბატონ ნინელი გაბრიჭიძეს. საკრებულოს თავმჯდომარის განმარტებით, სკოლის სახელდება მნიშვნელოვანი მოვლენაა, რამდენადაც ექნებათ მოსწავლეებს იმის განცდა, რომ ამავე სკოლაში სწავლობდა გმირი, რომელიც ქართული სახელმწიფო ერთიანობისთვის თავგანწირვით იბრძოდა. როგორც სახელდების ინიციატორმა, მწერალმა ირაკლი შამათავამ აღნიშნა, სკოლისთვის ზურაბ გურჩიანის სახელის მინიჭებას მხოლოდ ვიწრო ინტერესი არ გააჩნია. გარდა იმისა, რომ ზურაბი ამ სკოლის კურსდამთავრებული და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მებრძოლია, სახელის მინიჭება აუცილებელია როგორც გმირის ისტორიული ღვაწლის დასაფასებლად, ისე მომავალი თაობის იდეოლოგიური აღზრდისთვის.

ღონისძიებაზე, პირველკლასელმა მოსწავლემ და წლევანდელმა კურსდამთავრებულმა სიმბოლურად გაჭრეს ლენტი, რის შემდეგაც სკოლის კედელზე სახელდების აბრა დამონტაჟდა და იქვე ინფორმაციული დაფაც გაიხსნა, სადაც აღნიშნულია, რომ 1978-1988 წლებში, სკოლაში სწავლობდა აფხაზეთის ომის გმირი ზურაბ გურჩიანი.

ინფორმაციისთვის, ზურაბ გურჩიანი სწავლობდა მესტიის რაიონის სოფელ ეცერის საშუალო სკოლაში, რომელიც 1988 წელს წარჩინებით დაამთავრა. 1991 წელს ჩაირიცხა სოხუმის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე. 1992-1993 წელს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ომში, 21 წლის ზურაბ გურჩიანი საკუთარი სურვილით ჩაება საბრძოლო მოქმედებებში და 23-ე მექანიზებული ბრიგადის მე-8 ბატალიონის II ასეულში, ე.წ. „ბაგრატიონის ასეულში“ მსროლელად ჩაირიცხა. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის არქივში დაცული საბრძოლო მოკვლევების საფუძველზე დადასტურებულია, რომ ზურაბ გურჩიანი გმირულად იცავდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და არაერთხელ გამოიჩინა თავი ფრონტზე. ზურაბ გურჩიანი ერთ-ერთი იყო იმ გმირთაგან, რომელიც 1993 წლის 5 ივლისს, აფხაზ-რუს-ჩრდილო კავკასიელთაგან კამანის დაცვისას, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა და ბრძოლის ველზე შეუერთდა უკვდავებას... მხოლოდ 2 თვის შემდეგ, 1993 წლის 1 სექტემბერს შეძლო ოჯახმა ზურაბ გურჩიანის ცხედრის მოძიება. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ ეცერში.

ზურაბ გურჩიანის წერილი მამას:

„გამარჯობა, საყვარელო მამიკო! როგორ ხარ, ხომ ხარ კარგად? კარგადაც მიმყოფოს შენი თავი ღმერთმა. მამიკო, რა არი?! მესმის შენი, გედარდები, მაგრამ მთლად ასე არ უნდა დაეცე. ვისი შვილი არ წასულა ომში. მამი, მე ვერ დაგპირდები დღეს და ხვალ ჩამოსვლას, მაგრამ დაჯის ქორწილში ჩამოვალ. ასე რომ, ნუ დარდობ და, თუ ღმერთი გწამს, მიმიხედე დედას. მამიკო, დედა სულ მეკითხება მიზეზს აქ წამოსვლისა. მამიკო, მე გეტყვი შენ ერთ რაღაცას. შარშან ბიჭებმა ვთქვით, თუ ომი დაიწყო, გულდედალი იყოს, ვინც არ წავიდესო. აქ რომ ჩამოვედი, ის ბიჭები, ყველანი, გვარდიაში იყვნენ და იყვნენ პირველი დღეებიდანვე. ერთი ჩემი ამხანაგი მოკლეს თურმე ოჩამჩირეში და იმის საფლავზე დაიფიცეს, რომ ბოლომდე მდგარიყვნენ. მე რომ შემხვდნენ, მითხრეს, რას შვრებიო? თქვენ რას შვრებით-თქო და მიამბეს ამ ბიჭის ამბავი. ბადრი მუშკუდიანთან ერთად

ჩაუგდიათ თურმე ტყვედ, დაჭრილი უწამებიათ, დაიჩოქეო. არ დაუჩოქია და მუხლები მოუმტვრევიათ. ეს ბედი ეწია სამივეს, მათ შორის, ბადრისაც. ჰოდა, მათ საფლავებზე დაუფიციათ ბიჭებს. მამიკო, დათო ჩემი ყველაზე უახლოესი მეგობარი იყო, კარატისტი ბიჭი იყო. მე რა მეთქვა, გავშრი... მინდოდა გვარდიაში შესვლა მანამდეც, მაგრამ თქვენს ჩამოსვლას ველოდებოდი. არ მინდოდა ასე დაუკითხავად წამოსვლა, ვიცოდი, არ გამომიშვებდით, მაგრამ ნათქვამი ხომ მაინც მექნებოდა. მერე აუცილებლად ვაპირებდი წამოსვლას, მამა, რატომ იცი?!. როცა მტერი აფხაზი იქნება, თუ რუსი, ჩეჩენი თუ ოსი შენს მიწას გეცილება... ქართველი ბავშვების სისხლს სვამენ, გოგონებს ქართველი კაცების თვალწინ აუპატიურებენ, ძუძუებს აჭრიან და მერე, ჭამეო, გეუბნებიან... არა, მამა, თუ ეს ყოველივე შერჩათ აფხაზებს და მათ დამქაშებს, მაშინ ჯობია, მამაკაცებმა შარვლის მაგივრად კაბები ჩავიცვათ, ხელში საქსოვი დავიკავოთ და ვქსოვოთ. მამა, მე მითხრა დედამ, ავად არიო. მამი, ძაან გთხოვ, გამაგრდი ახლა როგორმე. ჩემი ჩამოსვლა თუ გიშველის, მაშინ, გირჩევ, ქალის თავსაფარი გამიმზადე და რომ ჩამოვალ, ის დამახურე თავზე. მამა, მე ასე მჯერა, შენ რომ ჩემხელა იქნებოდი, შენც ჩემსავით მოიქცეოდი. მამიკო, მე ვმერყეობდი. მე და გია რომ ვიყავით აქ, მაშინ ქუჩაში მივდიოდი და დავინახე ახალი ანაფეთქები, მივედი ახლოს და 12 წლის ბავშვი გამხდარიყო ამ აფეთქების მსხვერპლი, დედა-შვილი შეიწირა ამ აფეთქებამ. მამიკო, მაშინ ვთქვი, სანამ პირში მიდგას სული, არ შერჩება არცერთ მომხდურს ქართველის სისხლი. მამა, ამ გაგებით შევედი გვარდიაში და ამ აზრზე ვარ დღესაც. ის დანარჩენი ჩემი ამხანაგებიც ჩემთან ერთად გამოვიდნენ, გამოვიტანე ჩემი და მათი წიგნაკები. დედას ვანახე, მამიკო... ვერ ვუღალატებ ამ ბიჭებს... დედა მეუბნება, სხვები რომ იმალებიან, შენც დაიმალეო. სხვებივით ვერ შევძვრები თაგვის სოროში მეც... მეტი რა მოგწერო, მამიკო. გკოცნი და გკოცნი. ვაჟკაც კაცს არ შეშვენის „ვაი“ და „ვუი“, პირიქით, ისე მოიქეცი, ომში კი არა, სადმე, ლხინში გეგულებოდეს ჩემი თავი. მე თუ მკითხავ, ყველაზე მთავარი საქმე ქართველი კაცისთვის ეს არის აქ დგომა და უტეხი ხალხის დაცვა. მე ამას ქართველი კაცის ვალად ვთვლი. ისტორიკოსი კაცი ხარ და გეცოდინება, ხალხი, ვინც იარაღით ხელში იბრძოდა სამშობლოსათვის, გმირებად იქცნენ, ხოლო ისინი, ვინც ამ ომს გაექცა, ლაჩრებად მოინათლნენ. მე არ მინდოდა ლაჩარი მრქმეოდა. არც შენ გაგეხარდება, ვიცი, ლაჩარი შვილის ყოლა. ჰოდა, მოხრილად კი არა, წელში გამართული უნდა დადიოდე, რომ არ ავირჩიე ლაჩარი მრქმეოდა. მეტი რა, მამი, კარგად იყავი. წერილი... წერილს უყვარს ლამაზი სიტყვები. მე კი ერთს გეტყვი, მე ჩემი თავი მართალი მიმაჩნია შენს წინაშეც და სამშობლოს წინაშეც. ვიცი, გიმძიმს ჩემი აქ ყოფნა. მამა, ძაან გთხოვ, თავს მოუფრთხილდი. კიდევ ერთხელ გკოცნი. ნუ გეშინია, დაჯის ქორწილზე აუცილებლად ვიქნები. ზურა“.

P.S. მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ზურაბ გურჩიანის სახელობის ეცერის საჯარო სკოლაში ასევე დაწყებულია პროცედურები სკოლის ბიბლიოთეკისათვის ვენერა პაკელიანის სახელის მინიჭების შესახებ. ვენერა პაკელიანი გახლდათ გეოგრაფიის მასწავლებელი, გამორჩეული პედაგოგი და ავტორიტეტული ქალბატონი, რომელიც ათეული წლების მანძილზე იყო ეცერის საჯარო სკოლის დირექტორი. 8 წლიანი სკოლა სწორედ ქალბატონი ვენერა პაკელიანის ძალისხმევით გადაკეთდა საშუალო სკოლად. ვენერა პაკელიანი იყო დირექტორი, რომელმაც შეძლო განათლების სისტემის გაძლიერება, ყველა საჭირო რესურსის მობილიზება, ცვლილებების ეფექტურად გატარება და საჭიროებების განხორციელება, რათა შეექმნა ძლიერი და ღირსეული საგანმანათლებლო კერა.

ონლაინ გაზეთი „თაობაXXI“



პროექტის „STREAM სამაყაროს“ შესახებ არაერთხელ დამიწერია, იცით, რომ შევძელით და ახალგაზრდებისთვის წიგნის კითხვა სასიამოვნო და საქმიანი პროცესი გავხადეთ. რა არ გავაკეთეთ, ვის არ შევხვდით, ვინ არ გავიცანით და ამასობაში თვეები თვეებს მიჰყვა, შედეგი, შედეგს... დღეს კი გვაქვს პატივი წარმოგიდგინოთ ჩვენი პროექტის საუკეთესო შემოქმედებითი პროდუქტი, ონლაინ გაზეთი „თაობაXXI“. გაზეთის თემატიკა მრავალფეროვანია: ეკოლოგია, კულტურული მემკვიდრეობა, სასკოლო ცხოვრება, წარმატებული ადამიანების ისტორიები, კოსმოსი და სხვა.

წიგნის „მთვარის მედალიონის“ წაკითხვის შემდეგ, აქტივობები იმგვარად შევიმუშავეთ, რომ ჩამოვაყალიბეთ მედია კლუბი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდებში მედია წიგნიერების, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების, წერის უნარების განვითარებას.

გილოცავთ, ახალგაზრდებო! თქვენმა დაუღალავმა შრომამ და ინტერესმა ნაყოფი გამოიღო, წარმატებები და მეტი და მეტი მოტივაცია გქონოდეთ.

როცა გყავს გვერდით ისეთი პედაგოგები, როგორებიც არიან ლალი მარგიანი, თეა ტალახაძე, ნინო გაბულდანი, სოფიო ქუხილავა, აბა კარგი შედეგები რა გასაკვირია? მადლობა კოლეგებო, მადლობა ახალგაზრდებო, ამ ძვირფასი საჩუქრისთვის.

მეგობრებო, გთხოვთ, გამოიწეროთ ჩვენი გვერდი და გახდეთ ახალგაზრდების შემოქმედების აქტიური მკითხველები.

ეკატერინე წულუკიძე

ჭადრაკი სკოლებში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, მიხეილ ჩხენკელის გადაწყვეტილებით, მოსწავლეები ჭადრაკს პირველ კლასში სავალდებულო საგნად შეისწავლიან. ამის შესახებ ინფორმაციას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქვეყნებს. „მოსწავლეებში ანალიტიკური, ლოგიკური, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემების პრაქტიკული გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, ჭადრაკი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში სავალდებულო საგნად ემატება. სავალდებულო საგნად ჭადრაკის შესწავლა 2022-2023 წლის სექტემბრიდან იგეგმება, მანამდე კი ჭადრაკის ეროვნულ ფედერაციასთან თანამშრომლობით აქტიურად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები, მასწავლებლების ტრენინგების ორგანიზებისა და სასწავლო რესურსების მომზადების კუთხით. ჭადრაკი აუმჯობესებს მოსწავლეთა მრავალმხრივ უნარებს, როგორებიცაა: ყურადღება, კონცენტრირება, მეხსიერება, ანალიზი, ლოგიკა, გადაწყვეტილების მიღება. დავალებებს სახლში შესასრულებლად არ გაატანენ, თუმცა დეტალები კიდევ ზუსტდება - ვინ შეადგენს დიაგნოსტიკური შეფასებისთვის დავალებებს და ვისთვის არის ის სავალდებულო.

აღსანიშნავია, რომ სკოლებში ჭადრაკის სწავლება გათვალისწინებულია ევროკავშირის 2012 წლის დეკლარაციით, რომელიც საგანმანათლებლო სისტემებში ჭადრაკის სწავლების დანერგვას ითვალისწინებს.“ - აღნიშნულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

პროექტი „დიდგორელი“

25 ივნისს, მესტიაში, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში საგანმანათლებლო პროექტის „დიდგორელი“ ფინალური ტური გაიმართა.

კონკურსი მიზნად ისახავს ისტორიის საგნის პოპულარიზაციას.

პროექტის ავტორები არიან ირაკლი მიქიანი და ლევან ჟვანია. მათ ქვეყნის მასშტაბით არაერთი საგანმანათლებლო პროექტი აქვთ განხორციელებული და როგორც თავად განაცხადეს, გაჩერებას არ აპირებენ.

კონკურსი ,,დიდგორელი“ მოიცავდა 4 ეტაპს.

პირველ ეტაპზე სკოლებმა შიდა კონკურსით გამოავლინეს შემდეგ ტურში გამსვლელი მოსწავლეები.

მეორე ტურში მოასპარეზე 100-ზე მეტი მოსწავლიდან მესამე ტურში 50

მონაწილე გადავიდა.

მესამე ტურში მონაწილეობა მიიღეს იდლიანის, ყარ-სგურიშის, ნაკრას, ფარის, ეცერის, ბეჩოს, ცხუმარის, ლატალის, ლენჯერის პირველი, ლენჯერის მეორე, მიხეილ ხერგიანის სახელობის მესტიის მეორე, მესტიის მესამე, იელის, მულახის, რევაზ მარგიანის სახელობის მუჟალის, კალას და უშგულის საჯარო სკოლებისა და მესტიის წმინდა ლარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებმა.

მესამე ტურში გასული მოსწავლეებიდან გამოვლინდნენ ფინალისტები- ბექა ქურდიანი (მულახის სკოლა), თინათინ ჯაფარიძე (სკოლა გიმნაზია), ადელა კვანჭიანი (ლატალის სკოლა), ლუკა ნიჟარაძე (უშგულის სკოლა) და მარიამ კვანჭიანი (იდლიანის სკოლა).

კონკურსის გამარჯვებული გახდა მულახის საჯარო სკოლის მოსწავლე ბექა ქურდიანი, რომელიც პროექტის გენერალური სპონსორისგან, კომპანია არემჯისგან მიიღებს „დიდგორელის“ 6 თვიან სტიპენდიას.

დაჯილდოვების ცერემონიალი ჩატარდა სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ღონისძიებას ესწრებოდნენ პროექტის ფინალისტები, ნახევარფინალისტები და ისტორიის პედაგოგები. თითეულ მათგანს საჩუქრად გადაეცა სხვადასხვა წიგნი საქართველოს ისტორიის შესახებ. გამარჯვებულებს ასევე გადაეცათ ირმა ჯაჭვლიანის წიგნი „დედას დღიურები (აფხაზეთის ომი)“. ირმა ჯაჭვლიანის ინიციატივით დაჯილდოვების ცერემონიალის დროს მოეწყო მისი წიგნის გაყიდვა და შემოსული თანხა გადაეცა პროექტის გამარჯვებულს.

ასევე, ყველა მონაწილესა და მათ პედაგოგებს საჩუქრად გადაეცათ სხვადასხვა ისტორიული წიგნები.

მუნიციპალური კონფერენცია „საუკეთესო პრაქტიკა“

29 ივნისს TEAMS - პლატფორმაზე ჩატარდა მასწავლებელთა და დირექტორთა მუნიციპალური კონფერენცია სახელწოდებით „საუკეთესო პრაქტიკა“ რესურსცენტრის ხელმძღვანელის ქალბატონ დარეჯან ნიგურიანისა და ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განვითარების კოორდინატორის ორგანიზებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტთან თანამშრომლობით.

კონფერენცია ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში განხორციელდა და წარმოადგენდა ერთგვარ შეჯამებას და ანალიზს წლის მანძილზე დანერგილი კომპლექსური დავალებების შედეგებისა.

კონფერენციის საპატიო სტუმრები იყვნენ ეროვნული სასწავლო გეგმის ექსპერტი ბატონი ნიკო სილაგაძე და „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის ხელმძღვანელი ციცია გაგნიძე.

საინტერესო თემებით მონაწილეობა მიიღო მესტიის 11 სკოლის 23-მა მასწავლებელმა

მარინე გიგდელიანი (ისტორია) -სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის მესტიის №3, ლენჯერის#2 საჯარო სკოლები, კომპლექსური დავალება კედლის გაზეთის შექმნა ლამპრობის დღესასწაულთან დაკავშირებით“.

მაკა გაბუნია (ისტორია) -სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ.ეცერის ზურაბ გურჩიანის სახელობის საჯარო სკოლა -„სტატიის შექმნა თანამედროვე სამყაროში მმდინარე გლობალურ პროცესებზე“.

მაია გულედანი (ისტორია) - „სტატიის შექმნა ჯვაროსნებისა და დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველოს ურთიერთობაზე“.

ლამარა გირგვლიანი (გეოგრაფია) - მესტიის მუნიციპალიტეტის სსიპ სოფელ ლატალის საჯარო სკოლა, კომპლექსური - საგაზეთო სტატიის მომზადება სპარსეთის ყურის ქვეყნებში „შავი ოქროს“ მნიშვნელობაზე.

ნინო ბეგიაშვილი - სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის №2 საჯარო სკოლა - (ქიმია) თემა: „ატომის აღნაგობა“.

ირმა კვანჭიანი (მათემატიკა საბაზო საფეხური) - მესტიის მუნიციპალიტეტის სსიპ სოფ.ხაიშის საჯარო სკოლა, კომპლექსური დავალება „ღონისძიების დაგეგმვა, საკითხები: არაუარყოფითი რაციონალური რიცხვები- ათწილადები.

თამარ გვიჭიანი (მათემატიკა დაწყებითი საფეხური) მესტიის მუნიციპალიტეტის სსიპ სოფ.ხაიშის საჯარო სკოლა, კომპლექსური დავალება „ჩემი სოფელი“.



მაია გულედანი - მესტიის მუნიციპალიტეტის მესტიის №3, სოფელ ლენჯერის №1 და ლენჯერის №2 საჯარო სკოლები -კომპლექსური დავალება „წყლის ბორბალი“ .

მარიანა ჭკადუა (დაწყებითი საფეხური) - მესტიის მუნიციპალიტეტის სსიპ სოფ. ხაიშის საჯარო სკოლა, კომპლექსური დავალება - ამბის წინარე ეპიზოდის მოფიქრება ი.გოგებაშვილის „ჭკვიანი ძაღლების“ მიხედვით.

ნინო გვიჩიანი (დაწყებითი საფეხური) - მესტიის მუნიციპალიტეტის სსიპ სოფ.ბეჩოს საჯარო სკოლა, კომპლექსური დავალება - მისწერე წერილი „შვლის ნუკრის ნაამბობის“ მთავარ პერსონაჟს, საკომუიკაციო მიზნის და ადრესატის გათვალისწინებით.

ლელა ცარციძე (დაწყებითი საფეხური) - მესტიის მუნიციპალიტეტის სსიპ სოფ. იელის საჯარო სკოლა, კომპლექსური დავალება -იგავის შექმნა ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით.

ზემერა ავალიანი (ხელოვნება)- სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის მესტიის №1 საჯარო სკოლა, კომპლექსური დავალება „XIX – XX საუკუნის ზოგიერთი მიმდინარეობის სტლში ნამუშევრების შექმნა და გამოფენის მოწყობა“.

ლია ლეგაშვილი (სპორტი)- სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის მესტიის №3 საჯარო სკოლა-„სამთო სათხილამურო სპორტი“.

თინათინ დიასამიძე (ინკლუზიური განათლება) - სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის მესტიის №3 საჯარო სკოლა - სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (15 წთ)

თეონა ფანგანი (საინფორმაციო ტექნოლოგიები) - სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის იფარის საჯარო სკოლა, „პრეზენტაციის შექმნა Maicrosoft powerpoint პროგრამის გამოყენებით“ ლიდერობის მიმართულებით.

ეკატერნე ფილფანი, ნათია გოშთელიანი -სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის მესტიის №3 საჯარო სკოლა, სასკოლო პროექტი „მით ვისწავლებით მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“.

ლილი გვარმიანი - სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლა - სასკოლო პროექტის თემა: კულტურული მემკვიდრეობა.

ინგა მოდებაძე, მარინე ჭკადუა - სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ იდლიანის საჯარო სკოლა - სასკოლო პროექტი: „ხელოვნება იცავს ბუნებას“.

ქეთევან გურჩიანი - - სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეცერის საჯარო სკოლა - სასკოლო პროექტის თემა:კულტურათა მრავალფეროვნება.

ნატო გვარლიანი - სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის მესტიის №2 საჯარო სკოლა - სასკოლო პროექტი „ფინანსური წიგნიერება ჩვენი დაფინანსებული მომავალია“.

პრეზენტაციის დროს საინტერესო, კრეატიული კომპლექსური დავალება და სასკოლო პროექტი იქნა წარდგენილი, სადაც ნათლად ჩანდა მასწავლებლის და მოსწავლეების მაღალი მოტივაცია, ენთუზიზმი, შრომა და საქმისადმი სიყვარული. გამოჩნდა რომ მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ „სწავლა კეთებით“, რაც უმნიშვნელოვანესია.

გარდა იდეების გაზიარებისა, ეს კონფერენცია საუკეთესო საშუალება იყო თითოეული პრეზენტატორისთვის გამოცდილების გაზიარებისათვის და შეძენისათვის.

უღრმესი მადლობა ყველა მონაწილეს, საგნობრივ ქოუჩებს და სტუმრებს. წარმატებები მინდა ვუსურვო ყველას!

მრავალმხრივ მისაბაძი ქალბატონი

საგარეჯოში დაბადებული უმშვენიერესი ქალბატონი, რომელმაც ჯერ სკოლა, შემდეგ კი სამედიცინო ინსტიტუტი წარმატებით დაამთავრა, 1992 წელს, სვანების რძალი გახდა და მას შემდეგ, ფანგანების უძლიერესი ოჯახის დედაბოძია ბეჩოში. მან თავდაპირველად მუშაობა დაიწყო მესტიის სანეპიდსადგურში, 2001 წლიდან კი ბეჩოს საექიმო ამბულატორიაში დაინიშნა ექიმად. აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და პარალელურად მუშაობს მესტიის საავადმყოფოს პოლიკლინიკის ტუბ. კაბინეტში ფტიზიატრად. ექიმის პროფესიას თინა კუზანაშვილი უთავსებს ასევე პედაგოგობას, 2003 წლიდან მაზერის საჯარო სკოლაში ასწავლის ქიმიას და ემსახურება მომავალი თაობების აღზრდის საქმეს. არის სამი არაჩვეულებრივი შვილის დედა, სოფელში ყველას იმედი და მარჯვენა ხელი . მისი ყოველდღიური ცხოვრება მუდამ მიმართულია ადამიანებზე ზრუნვისაკენ.. არის საოცრად დიდსულოვანი, თბილი, ყურაღდებიანი, განათლებული, ნიჭიერი, მშრომელი ქალბატონი. წერს ლექსებს, უყვარს ქველმოქმედება. ვინ მოთვლის, რამდენი ავადმყოფი ადამიანისთვის გაუწევია უანგარო დახმარება, რამდენი კილომეტრი ფეხით გაუვლია ყინვასა და თოვლში?! ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანისთვის გაუწევია სამედიცინო დახმარება სოფლის გარეთაც.. ნეტავ ბევრი გვყავს ჩვენს გარშემო ასეთი კეთილი, უხმაურო და ყურადღებიანი ადამიანები? დიდხანს და ბედნიერად გამყოფოთ უფალმა, ქალბატონო თინა. თქვენზე დადებითის წერა უსასრულოდ შეიძლება ბევრი თინასნაირი ქალბატონი ჩვენს გარშემო.

ფორმა, რომელსაც ალარ გავიცვამ

ოთხი წლის

ხალხი იძახის ომი დაიწყოო. კი, მაგრამ რა არის ომი? რა ხდება? ან ვინ არიან ის კაცები ერთნაირად რომ აცვიათ? საინტერესოა, ოთხი წლის ბავშვი რას ვფიქრობ, თუმცა ამას, დიდი ალბათობით, ვერც ვერასდროს გავიგებ.

თოთხმეტი წლის

აქტიური მოსწავლე ვარ და ვცდილობ ყველაფერში ჩავერთო. გაკვეთილზე დირექტორი შემოდის და გვაფრთხილებს, რომ დღეს ინფორმაციული შეხვედრა გვექნება და კარგი იქნება თუ დავესწრებით. არ უთქვამს ვის ვხვდებით, თუმცა მაინც დავთანხმდი, ჩემი რა მიდის? გაკვეთილების ბოლოა, ჩანთა ავიღე და ზარმაცად გავემართე შეხვედრის ოთახსიკენ.

რა ვიცოდი, რომ ეს შეხვედრა მთელ ჩემს ცხოვრებას შეცვლიდა?

ოთახში შევდივარ და ვხედავ ერთნაირად ჩაცმულ კაცებს, თუმცა ახლა ვხვდები თუ ვინ არიან ისინი. მათ დანახვაზე რაღაც ისეთმა გაიღვიძა ჩემში, რაც აქამდე არ განმიცდია. სიამაყე, სიხარული, პატივისცემა. ყველა გრძნობა ერთამნეთში აირია და მერე

სი სულ რაღაც წამის მეათედში მოხდა. გაცნობითი შეხვედრა საინტერესოდ გრძელდება. ვსვამ შეკითხვებს და ვიღებ პასუხებს. ყოველი პასუხის შემდეგ უფრო და უფრო ვრწმუნდები იმაში, თუ რა იქნება ჩემი პროფესია.

სახლში შევედი და ოჯახის წევრებს გამარჯობის ნაცვლად პირდაპირ გამოვუცხადე: „სამხედრო უნდა გამოვიდე“. პირველი მამაჩემს შევხედე. მანაც გამომხედა მშვიდი და აუღელვებელი სახით, რასაც ვერ ვიტყვი დედალაგდა. თითქოს, ის, რაც მაკლდა, ერთიანად მომეცა. ეს გრძელი პროცესი სულ რაღაც წამის მეათედში მოხდა. ეს, რაც მაკლდა, ერთიანად მომეცა. ეს გრძელი პროცესი

დაჩემზე. ის შემეწინააღმდეგა, ეცადა გადაეფიქრებინა. მამაჩემმა კი არაფერი მითხრა, არადა ყველაზე კარგად ის ხვდებოდა, თუ რა რთულ გზას ვირჩევდი. ის ხომ უკვე ოცდაოთხი წელია საქართველოს საზღვარს იცავს და გამოვლილი აქვს ის, რაც მე უნდა გავიარო მომავალში.

რა თქმა უნდა, თოთხმეტი წლის ბავშვის ასეთ გადაწყვეტილებას არავინ შეხვდა სერიოზულად. მახსოვს ჩემი მეგობრების დამოკიდებულება: ერთმანეთს შეხედავდნენ და ამბოდნენ „ჰო იცი, მაინც გადაიფიქრებს“. ცოტა არ იყოს მწყინდა, თუმცა შემდეგში მოტივაციას მაძლევდა, რომ დამემტკიცებინა ჩემი გადაწყვეტილების სიმყარე.

თვრამეტი წლის

უკვე ოთხი წელია ვიცი რაც მინდა. ახლა რას ფიქრობენ ჩემი ოჯახის წევრები? ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივრები არიან. მხარს მიჭერენ და ჩემს გვერდით არიან. ისინი ძალას მმატებენ, რომ ამ გზას ბოლომდე გავყვე. მამაჩემი მესაუბრა, ამიხსნა თუ რისი გავლა მომიწევს, რა პრობლემებს უნდა შევეჭიდო მომავალში. ამ ასაკში უკვე კარგად მესმის, თუ რამდენი გამოწვევის წინაშე დამაყენებს ჩემი არჩეული პროფესია. თუმცა წამითაც არ ვფიქრობ, გადაწყვეტილების შეცვლაზე.

ოთხი წლის ბავშვი ვერ ვხვდებოდი, რომ მაშინ რუსებმა მიწები და ძმები წაგვართვეს. წლების მომატებასთან ერთად, უფრო ძლიერ მტკივა ჩემი ქვეყნის ოკუპირებული მიწების საკითხი. მტკივა არნახული ადგილი, რომელიც მხოლოდ უფროსი თაობის მოგონებებში მაქვს ნანახი.

დღეს

უკვე წარმატებით გავიარე აკადემიის შიდა შესარჩევი ტურები. წინ ერთიანი ეროვნული გამოცდები და საწყისი მომზადების კურსია და დარწმუნებული ვარ, რომ ამ ეტაპსაც წარმატებით გადავლახავ, რადგან ზურგს მიმაგრებენ ჩემი ოჯახის წევრები და ახლო მეგობრები. არ ვიცი რა იქნება მომავლაში, მაგრამ მწამს იმის, რომ ერთ დღესაც ენგურის ხიდთან ვიდგები და ჩემს და-ძმებთან ერთად ფეხს დავდგამ იმ მიწაზე, რომელიც ჩემს გონებაში ზურმუხტისფერია. ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით აფხაზეთში.

LAG-ის ფაისბუქ გვერდი

მუნიციპალური ტურნირი მკლავჭიდში

25 ივნისს, სოფელ ეცერში ჩატარდა მსოფლიოს 12 გზის ჩემპიონის, ერეკლე გურჩიანის სახელობის მუნიციპალური ტურნირი მკლავჭიდში.

შეჯიბრება ორ ასაკობრივ 2005 - 2006 -2007 და 2008 - 2009 - 2010 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის ჩატარდა, როგორც მარჯვენა ისე მარცხენა მკლავში.

შეჯიბრებას უძღვებოდნენ, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი - გიორგი ასუმბანი, მკლავჭიდის მწვრთნელი სოფელ ლატალში,

ვალტერ გურჩიანი და ბაჩუკ გურჩიანი, ასევე მკლავჭიდის მწვრთნელები ს. ეცერში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ნაკრის, ეცერის, ბეჩის და ლატალის გუნდები.

თვითოეულ ასაკობრივ ჯგუფსა და სახეობაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები, ისინი დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით.

შეჯიბრების აბსოლუტური გამარჯვებული გახდა - ლუკა ვიბლიანი.

ერეკლე გურჩიანის სახელობის გარდამავალი თასი დაიკავა ს. ეცერის მოსწავლეთა გუნდმა.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ააიპ მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი უსურვებს წარმატებებს შეჯიბრების თვითოეულ მონაწილეს და მათ მწვრთნელებს!!!....

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი 1.

გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ

ირმა ჯაჭვლიანი, ნინო ნაკანი

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შპს. „გამომცემლობა კოლორში“

(ტირაჟი - 600 ცალი)

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 45

ირმა ჯაჭვლიანი

ელ. ფოსტა:

Irma_ushba@yahoo. com